**პროექტი**

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება №**

**2023 წლის „ " დეკემბერი, ქალაქი ბათუმი**

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის N 25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ" ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის N25 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ განკარგულებით დამტკიცებული ქალაქ ბათუმის კონკრეტული უფლებრივი ზონირების ახალი რუკა (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით, თანახმად დანართისა.

2. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით, მისი ძალაში შესვლის შემდეგ საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.batumicc.ge).

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე**

**რამაზ ჯინჭარაძე**

**განმარტებითი ბარათი**
**პროექტის სახელწოდება და სათაური**

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის N 25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

**ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ**

**ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:**

განკარგულების მიღების მიზანია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის N 25 განკარგულებაში ცვლილების შეტანა.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით ხდება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის N 25 განკარგულებაში ცვლილების შეტანა; ამ მიზნით კანონმდებლობით დადგენილი წესით დაწყებული იქნა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება; ცნობა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნებული იქნა ოფიციალურ ვებ გვერდზე.

ხდება არსებული ზონების კორექტირება. ზონირების რუკაში ცვლილებისას გამოყენებული იქნა ა(ა)იპ ,,სითი ინსტიტუტი საქართველო"-ს მიერ ნაწარმოები კვლევები. აღნიშნული ცვლილების შესახებ მოსაზრებებისათვის გადაეგზავნა ა(ა)იპ ,,სითი ინსტიტუტი საქართველო"-ს, რომელმაც წარმოგვიდგინა თავისი მოსაზრებები ფუნქციური ზონირების რუკის ნაწილში; რაც გაზიარებული იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

**ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:**

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ" ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის N 25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღება.

**ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:**

ბ.ა) განკრგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარ-ჯების დაფინანსების წყარო: არ გამოიწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე – არ გამოიწვევს.

**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ(ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

**ე) პროექტის ავტორი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

**ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:**

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის**

**ქალაქგანვითარებისა და ურბანული**

**პოლიტიკის სამსახურის უფროსი** **გიორგი წანაწყენიშვილი**